სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080101580671519

№ 1391 11 / მარტი / 2019 წ.

ა(ა)იპ „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლების კულტურისა და სპორტის განვითარების ცენტრისთვის“ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 05 მარტს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა ა(ა)იპ „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლების კულტურისა და სპორტის განვითარების ცენტრის“ SMP190001424 მომართვა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი

მომართვის მიხედვით, შესყიდვის ობიექტია 2019 წლის საქართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიადისთვის, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის განვითარების ცენტრის მონაწილე გუნდებისთვის ფორმების შეკერვა (CPV - 18400000 - სპეციალური ტანსაცმელი და აქსესუარები).

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბავშვები რამდენიმე წელია მონაწილეობას იღებენ საქართველოს სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაში. 2019 წელს მუნიციპალური ეტაპის გამარჯვებული სკოლის ბავშვები მონაწილეობას იღებენ რეგიონალურ ეტაპზე, რომელიც იწყება 2019 წლის 15 მარტიდან. აღსანიშნავია, რომ ოლიმპიადის მონაწილე გუნდებისთვის ფორმების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი SPA190001200 04.03.2019 წელს დასრულდა უშედეგოდ. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2019 წლის საქართველოს სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაში მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელია შეზღუდულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელდეს ზემოაღნიშნული საქონლის შესყიდვა.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის განხორციელების საჭიროება, იმდენად რამდენადაც, როგორც წარმოდგენილი მომართვიდან ირკვევა, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბავშვები რამდენიმე წელია მონაწილეობას იღებენ საქართველოს სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაში. 2019 წელს მუნიციპალური ეტაპის გამარჯვებული სკოლის ბავშვები მონაწილეობას იღებენ რეგიონალურ ეტაპზე, რომელიც იწყება 2019 წლის 15 მარტიდან. აღსანიშნავია, რომ ოლიმპიადის მონაწილე გუნდებისთვის ფორმების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი SPA190001200 04.03.2019 წელს დასრულდა უშედეგოდ. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2019 წლის საქართველოს სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაში მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით, სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ზემოაღნიშნული საქონლის შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა. ასევე, შემსყიდველმა ორგანიზაციამ უზრუნველყოს რელევანტური მიმწოდებლის შერჩევა და ამ შერჩევასთან დაკავშირებული პროცედურების კანონიერება. დამატებით აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1.დაკმაყოფილდეს ა(ა)იპ „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლების კულტურისა და სპორტის განვითარების ცენტრის“ SMP190001424 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე